

კლიმატის ცვლილების ფონზე კოლხეთის დაბლობის
მდინარეებში კალაპოტურ პროცესებზე მოქმედი
ფაქტორების შესწავლა

შ. კუპრეიშვილი, პ. სიჭინავა, თ. სუპატაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის
ინსტიტუტი
E-mail: shorena_12@mail.ru; p.sichinava@gmail.com;
tamunasupatashvili@gmail.com

საკვანძო სიტყვები: კლიმატის ცვლილება, კალაპოტური ფაქტორები.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული სიცხადით წარმოჩინდა კლიმატის გლობალური ცვლილებებით გამოწვეული პრობლემები. ათასწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებულმა ეკოსისტემებმა, შეცვლილი ტემპერატურული და ტენით არახელსაყრელი უზრუნველყოფის რეჟიმების პირობებში, იწყეს რღვევა. აქედან გამომდინარე, კოლხეთის დაბლობის მდინარეებში კალაპოტურ პროცესებზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა მნიშვნელოვანია.

თეორიული კვლევებით მიღებულია ნაკადის საშუალო სიჩაქარე ნიუტონური და არანიუტონური სითხეებისათვის; განსაზღვრული იქნა ნიუტონური სითხის ნაკადის ხარჯის და საშუალო სიჩაქარე ნიუტონური და არანიუტონური სითხეებისათვის.